

9. აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება @აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ@ აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების ჩამონათვალში დამატებების შეტანის თაობაზე

ოჩამჩირის რაიონის ს. ოხურიში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის 10935 დაშლასთან დაკავშირებით, აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაემატოს @აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ@ აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების ჩამონათვალს @აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები@, შემდეგი სახელწოდებები:

_ შენობები, ნაგებობები და სხვა ქონება, განლაგებული სამხედრო ნაწილის 10935 ტერიტორიაზე და გამოცხადდეს ის რესპუბლიკის საკუთრებად.

აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა

ქალ. სოხუმი, 28 აპრილი 1992 წელი.

(შემდგენლის პირადი არქივი. საკუთარი თარგმანი)